პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 ოქტომბერი შაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 240 (15757)

ᲨᲔᲛᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲬᲚᲘᲡ ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲗᲕᲔᲑᲨᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲪᲘᲗᲝᲜᲘᲐᲜᲔᲑᲔᲑᲨᲘ. ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲠᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲤᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ, ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲠᲪᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲘᲠᲗᲝᲜᲘᲐᲜᲔᲑᲔᲑᲨᲘ. ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲠᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲤᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ, ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝ. ᲨᲔᲛᲬᲕᲔᲓᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ. ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲛᲬᲧᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲬᲕᲔᲓᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ, 1974 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ. ᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝ. ᲨᲔᲛᲬᲕᲔᲓᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ, 1974 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒ

□ ყველა კომუნისტი როდი ასრულებს საწესდებო მოვალეობას.

□ კოლმეურნეობა უფრო მძლავრი იქნებოდა, თვითეული თავდადებით რომ შრომობდეს.

პარტიული ცხოვრება

კომუნისტი სამგალითო უნდა იყოს

ანგარიშგება-არჩევნები კარტიულ ორგანიზაციებში

პარტიული კრების დაწყებამდე სოფლის ბოლოს. არაგვის ჭალაზე ახალგაზრდა მეცხვარეს გამოეკლა პარაკეთ. ცხვრის ფარა იქვე, რიყიანში სძოვდა, ეტყობოდა ცხვარიც და მეცხვარეც ხანლაეთოდ იყვნენ გამზადებულნი. ადგილი არ არის მთელი 6-7 თვით მშობლიური მთების დატოვება. მაგრამ მწყემსი მაინც კარგ გუნებაზე იყო. როცა ამის მიზეზი ვკითხეთ, გაღიმებულმა გვითხრა: — აბა, როგორ არ გიხაროდეს, როცა მთელმა ქვეყანამ გაიგო ჩვენი გამარჯვების ამბავი, ახლა ყინჩად და ამაყად გავივლით ზუთასკილომეტრიან ტრასას, არც თვალი დაგვეღლება და არც ფუხლი...

მას მხედველობაში ჰქონდა სანიხარულო ამბავი: მლეთის კოლმეურნეობამ გაიმარჯვა მეცხოველეთა ხრულიად საკავშირო ხელოვნების ბოლოს. არაგვის ჭალაზე ახალგაზრდა მეცხვარეს გამოეკლა პარაკეთ. ცხვრის ფარა იქვე, რიყიანში სძოვდა, ეტყობოდა ცხვარიც და მეცხვარეც ხანლაეთოდ იყვნენ გამზადებულნი. ადგილი არ არის მთელი 6-7 თვით მშობლიური მთების დატოვება. მაგრამ მწყემსი მაინც კარგ გუნებაზე იყო. როცა ამის მიზეზი ვკითხეთ, გაღიმებულმა გვითხრა: — აბა, როგორ არ გიხაროდეს, როცა მთელმა ქვეყანამ გაიგო ჩვენი გამარჯვების ამბავი, ახლა ყინჩად და ამაყად გავივლით ზუთასკილომეტრიან ტრასას, არც თვალი დაგვეღლება და არც ფუხლი...

მას მხედველობაში ჰქონდა სანიხარულო ამბავი: მლეთის კოლმეურნეობამ გაიმარჯვა მეცხოველეთა ხრულიად საკავშირო ხელოვნების ბოლოს. არაგვის ჭალაზე ახალგაზრდა მეცხვარეს გამოეკლა პარაკეთ. ცხვრის ფარა იქვე, რიყიანში სძოვდა, ეტყობოდა ცხვარიც და მეცხვარეც ხანლაეთოდ იყვნენ გამზადებულნი. ადგილი არ არის მთელი 6-7 თვით მშობლიური მთების დატოვება. მაგრამ მწყემსი მაინც კარგ გუნებაზე იყო. როცა ამის მიზეზი ვკითხეთ, გაღიმებულმა გვითხრა: — აბა, როგორ არ გიხაროდეს, როცა მთელმა ქვეყანამ გაიგო ჩვენი გამარჯვების ამბავი, ახლა ყინჩად და ამაყად გავივლით ზუთასკილომეტრიან ტრასას, არც თვალი დაგვეღლება და არც ფუხლი...

ამ საქმეში თავისი სიტყვა თქვეს კომუნისტებმა. მაგალითად, თ. ნაზღაიძეს ორი ათასამდე ცხვარი ებარა, მათ შორის 879 ნერბი. კარგი მოვლა-პატრონობით ყოველ 100 ნერბზე მიიღო და გაზარდა 103 ბატკანი, ამასთან კოლმეურნეობას გეგმის გადამეტებით ორ ტონაზე მეტი მატყელი ჩააბარა. სოციალისტური შრომის გმირმა, კომუნისტმა უ. გაგაძემ, ყოველ 100 ნერბზე 95 ბატკანი გაზარდა და გეგმის გადამეტებით 600 კილოგრამამდე მატყელი აწარმოვა.

საკოლმეურნეო შრომის ავანგარდში დგანან აგრეთვე კომუნისტები ტ. ნადიბაიძე, ნ. ნარიმანიძე, ი. ყველაიძე და სხვები.

მაგრამ წარმატება გაცილებით მეტი იქნებოდა, ყველა კომუნისტი და უპარტიო კოლმეურნე თანამოსაგალეა ცხოველის ბალანსზე. ეს ნიშნავს, რომ ბევრ ადგილას ფერმებში ცხვრის ფარა ბალანსზე ერიცხებოდა, ფაქტიურად ან ბალახი ეძებნა, ან ბალახზე ეძინა. ასეთ ადგილებში ბევრ ცხვარს ფერფლი ეყარა, ბევრ ცხვარს ფერფლი ეყარა, ბევრ ცხვარს ფერფლი ეყარა.

ეს ფერფლი ეყარა ბევრ ადგილას, ეს ფერფლი ეყარა ბევრ ადგილას, ეს ფერფლი ეყარა ბევრ ადგილას.

საერთაშორისო უშიშროებისათვის

გენერალურ ასამბლეაზე

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საკდესის კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVIII სესიაზე, ზოგადპოლიტიკური დისკუსიის ცენტრში დგას მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ბანგმტკიცების საკითხები, ახლო აღმოსავლეთში ომის საშიში კერის ლიკვიდაციის ამოცანები.

გუშინ დღის სხდომაზე ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ე. გრონოვიჩმა აღნიშნა, რომ დისკუსიის დროს აისახა პოზიტიური ძალები საერთაშორისო ვითარებაში, რომლებსაც უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების აქტიური პოლიტიკა, სკკპ XXIV ყრილობაზე წამოყენებული მშვიდობის პროგრამის განხორციელება.

ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა გადაჭრით დაგმო ისტაელის ახალი აგრესიული აქტები ეგვიპტისა და სირიის წინააღმდეგ და მოქმედების ერთობისა და შეკავშირებისათვის მოუწოდა მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს, რათა აღდგეს არაბი ხალხების, მათ შორის პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებანი.

ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა მტკიცე პროტესტი გამოთქვა ჩილეს სამხედრო ხუნტის მოქმედების წინააღმდეგ.

კუბის რევოლუციური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა რაულ როგ ხაზი გაუსვა, რომ დაძაბულობის ახლანდელი შენელება „მშვიდობისათვის ბრძოლის მთავარი ძალის — საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შედეგია“. მან მკვეთრად დაგმო ისრაელის აგრესია ეგვიპტისა და სირიის წინააღმდეგ.

ისრაელმა დაოყოვნებლივ უნდა გაიყვანოს „ჯარები დაპყრობილი არაბული ტერიტორიებიდან, განაცხადა ტუნისის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. მასმუდიმ.

გამოვიდა აგრეთვე განის საგარეო საქმეთა კომისარი ჯ. ბაა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განის მუდმივი წარმომადგენელი ჯ. სისე და ჰონდურასის დელეგაციის მეთაური რ. მ. ორდონიესი, რომლებმაც დაგმეს ისრაელის აგრესია არაბი ხალხების წინააღმდეგ და მოითხოვეს ოკუპანტთა ჯარების გაყვანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის შესაბამისად.

ამერიკის შეერთებული შტატები

რ. კენედის მკვლელობის ახალი ვერსია

ნიუ-იორკი. 11 ოქტომბერი. (საკდესი). „მეორე პისტოლეტი“ — ასეთი სახელწოდებით გადის ნიუ-იორკში ფილმი, რომელიც ეძღვნება ლუს-ანჯელესის ოტელ „ამბასადორში“ 1968 წლის 4 ივნისს სენატორ რობერტ კენედის მკვლელობის ბრალმოებებს. ფილმის შემძღვანელი თეოდორ ჩეროკი გვთავაზობს ამ დანაშაულის ახალ ვერსიას, რომლის გამოძიებას იგი ხუთი წლის განმავლობაში ეწეოდა. გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის“ სიტყვით, ეს „რობერტ კენედის მკვლელობის გაანალიზების ზუსტად დოკუმენტირებული ცდაა“.

ფილმის ავტორი ცდილობს დამტკიცოს, რომ რ. კენედის მკვლელობაში მხოლოდ სირხან სირხანი როდი მონაწილეობდა, რომელიც გაასამართლეს ამ დანაშაულისათვის. ფილმში მოქცევი გამომძიებელი თომას ნოგუტის ჩვენებანი, რომელმაც განაცხადა, რომ სენატორს კეფაში ტყვია მოხვედრილი აქვს ერთი-ორი დუიმი მანძილიდან. ოფიციალური ვერსია იუწყებოდა, რომ რ. კენედი მოკლა სირხანმა, რომელიც მას წინ გადასულდა და სულ ცოტა ორი ფუტი მანძილიდან ესროდა.

მკვლელობის მომენტში კენედის ზურგს უკან იდგა უმიშროების აგენტი ტენ იუკინ სეზარი, რომელსაც, როგორც თვითონ აღიარა, ჰქონდა 22 კალიბრის პისტოლეტი, ანუ ისეთივე, როგორიც სირხანს, სეზარი ამტკიცებდა, პისტოლეტი კენედის მკვლელობამდე გავყიდეთ.

მაგრამ ამ პისტოლეტის მყიდველმა ფილმის ავტორს „ჩვენმა“ სეზარის ხელით შედგენილი ხელწერილი, რომლის თანახმად მას აღნიშნული იარაღი მხოლოდ სექტემბერში გაუყიდია.

მაყურებლები ეცნობიან აგრეთვე ბალისტიკის სპეციალისტის უილიამ ჰარპერის დასკვნას, რომელიც ამტკიცებს, ნაპოვნი ტყვიები სხვადასხვა პისტოლეტით არის ნასროლი და ერთმანეთის საწინააღმდეგო ტრაექტორია აქვთო.

ფილმში გამოდიან სხვა მოწმეებიც, სახელდობრ, დანაშაულის ადგილზე მყოფი ფოტოგრაფი, რომელსაც პოლიციამ ჩამოართვა ფოტოსურათები და შემდეგ კი „სადღაც დაკარგა“, და მოწმე, რომელსაც შარი მოსდეს და ალარ ალაპარაკეს სასამართლოში, რადგან ამისი ჩვენება ოფიციალურს ეწინააღმდეგებოდა.

ფილმის ავტორი ცდილობს დამტკიცოს, რომ პოლიციას ბამორჩა ანყურად არ იღო ყველა ის ჩვენება, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა მის აზრს — „სირხანი ერთადერთი მკვლელიაო“.

ახლო აღმოსავლეთი: ბრძოლა



- სატანკო ბრძოლები სინის ნახევარკუნძულზე.
- ბოვბავენ სამოქალაქო ობიექტებს.
- აგრესიენ „მოხალისეებს ისრაელში გასაგზავნად.

კაირო, 12 ოქტომბერი. (საკდესი). ეგვიპტე-ისრაელის ფრონტზე, სინის ნახევარკუნძულზე დღეს დილით წარმოებდა ინტენსიური სროლა არტილერიისა და ტანკების მონაწილეობით. სახბრძოლო მოქმედებაში ორივე მხრიდან მონაწილეობას იღებდა ავიაცია.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა აშ-შაზლიმ განაცხადა, რომ ისრაელმა სინის ფრონტზე გამოიყენა 1000-მდე ტანკი, რომელთაგან 800 მონაწილეობდა ბრძოლებში. ეგვიპტის ჯარებმა, თქვა მან, მოსპეს მათი ნახევარი. ტანკების ბრძოლა გრძელდება.

დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები, აღნიშნავენ რა სატანკო ბრძოლების გაფთრებულ ხასიათსა და ფართო მასშტაბს, მათ ადარებენ მეორე მსოფლიო ომის დროის დიდ სატანკო ბრძოლებს.

კაიროს გაზეთები აქვეყნებენ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. სადათის განცხადებას, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ თუ ისრაელმა განაგრძო მშვიდობიანი ობიექტების დაბომბვა, ეგვიპტე საპასუხო დარტყმას მიაყენებს.

დამასკო, 12 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დილით გოლანის მაღლობებზე განახლდა ძლიერი ბრძოლები. თავისი სახმელეთო ნაწილების დასახმარებლად ისრაელი ფართოდ იყენებს ავიაციას. ამასთან თვითმფრინავების მნიშვნელოვან დანაკლისს განიცდის.

დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები ამტკიცებენ, რომ ისრაელის ჯარებმა ალგა-ალაგ გაარღვიეს სირიის ჯარების პოზიციები და ღრმად შეიჭრნენ 1967 წლის ომის შეწყვეტის ხაზს იქით. როგორც ეს საგენტოები ამტკიცებენ, სირიის ნაწილები გაფთრებულ ბრძოლებს ეწევიან ელ-კუნეიტრა-დამასკოს გზის რაიონში.

გუშინ გვიან საღამოს ისრაელის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებმა და ვერტმფრინავებმა სცადეს იერიში მიეტანათ სირიის ტარტუსის ნავსადგურზე. იერიში მოგერიებულ იქნა სირიის სანაპირო არტილერიისა და სამხედრო კატერების ცეცხლით. ბრძოლის მსვლელობაში, რომელმაც საათნახევრამდე გასტანა, ჩაძირულია ისრაელის სამი ხომალდი და ჩამოგდებულია ერთი ვერტმფრენი.

ნიუ-იორკი. 11 ოქტომბერი. (საკდესი). სიონისტური წრეები ამერიკის შეერთებულ შტატებში იბრძოლენ ეროვნების ამერიკელ მოქალაქეების შორის ისრაელიდან იგრეთწოდებულ „მოხალისეებს“ ისრაელში გასაგზავნად.

„ამერიკის სიონისტური ახალგაზრდობის“ ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, პირველი პარტია ისრაელში 14 ოქტომბერს გაფრინდება.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იმოწმებს სარწმუნო წყაროებს და იუწყება, რომ შეერთებული შტატები მსჯელობენ ისრაელისათვის 50 რეაქტიული ავიაგამანადგურებლის ხელახლა მიწოდების შესაძლებლობაზე, რომლებიც საომარი მოქმედების დასაწყისში ჩამოგდეს.

ეხმარებიან აგრესორს

ვაშინგტონი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც განაცხადა პენტაგონის წარმომადგენელ მ. ვერტმფრინავმზიდმა „აიგო ჯიმამ“ მიიღო ბრძანება შეუერთდეს ამერიკის მეექვსე ფლოტის ხომალდებს ხმელთაშუა ზღვაში. ვერტმფრინავმზიდი ნორფოლკის (ამერიკის შეერთებული შტატები) სახმელთა-საზღვაო ბაზიდან გავა იმის შემდეგ, რაც აიყვანს 200 საზღვაო ქვეითი ჯარისკაცსა და მიიღებს მთელ საჭირო აღჭურვილობას. ხმელთაშუა ზღვაში ამ ხომალდის მოსვლით გაორკეცდება მეექვსე ფლოტის საზღვაო ქვეითი ჯარის კონტინგენტი.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, „შეერთებული შტატები ისრაელს აწვდის საბრძოლო მასალებსა და რაკეტებს“. ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აზუსტებს, რომ ეს საბრძოლო მასალები და რაკეტები გადაიქცევა ისრაელის თვითმფრინავების ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზებიდან.

მადრიდი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). ისრაელში მიმავალი 150 ამერიკელი მფრინავი, რომლებიც ვიეტნამში ომობდნენ, გუშინ შეჩერდა მადრიდის ბარახასის აეროდრომზე. ამას წერს გაზეთი „ია“, რომელიც აღნიშნავს, რომ ეს მფრინავები დაიქირავეს ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის და ისრაელში მიემგზავრებიან ვითომდა ტურისტებად.

კურტ ვალდჰაიმის მიმართვა

ნიუ-იორკი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედების მონაწილე ქვეყნებს მოუწოდა „განიხილონ ალტერნატივური გადაწყვეტილებანი“, რათა „შეწყდეს ბრძოლა და სისხლისღვრა“. ამასთანავე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოქვეყნებული გენერალური მდივნის განცხადება უშიშროების საბჭოს მოუწოდებს „ერთხელ კიდევ განიხილოს საშუალებანი, რომლთა დახმარებითაც შეიძლება გადაილახოს დაბრკოლებანი, რომლებიც გზას უღობავენ ეფექტიან და მშვიდობიან აქციებს“.

მსოფლიო დღეს

□ ამგვები
□ ფაქტები
□ პრობლემები

ფეხვედრა ნ. სიანუკთან

პეკინი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირის ელჩი პეკინში ვ. ხ. ტოლსტიკოვი ეწვია სახელმწიფოს მეთაურს, კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტის თავმჯდომარეს პრინც ნ. სიანუკს. საუბრის დროს ჩაიმართა აზრთა გაზიარება კამბოჯაში არსებული ვითარების გამო. საბჭოთა მხარემ მხარი დაუჭირა ჭეშმარიტ პატრიოტებს, რომლებიც სამართლიან ბრძოლას ეწევიან კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტისა და ეროვნული ერთიანობის სამეფო მთავრობის ხელმძღვანელობით.

ორდენი — გ. ფუჩიკოვას

პრაღა, 12 ოქტომბერი. (საკდესი). ცნობილ ჩეხოსლოვაკელ საზოგადო მოღვაწეს გუსტა ფუჩიკოვას გადაეცა ხალხთა მეგობრობის საბჭოთა ორდენი.

გ. ფუჩიკოვა ამ ორდენით დაჯილდოვდა დიდი წვლილისათვის საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის განვითარებასა და განმტკიცებაში, ანტიფაშისტურ ბრძოლაში დამსახურებისათვის, აქტიური მონაწილეობისათვის ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში.

ორდენი გადასცა სსრ კავშირის ელჩმა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ვ. ვ. მაცკევიჩმა.

თურქეთის ელჩი თბილისში

თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ილტერ თურქმენი, რომელიც მოგზაურობს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა.

12 ოქტომბერს ილტერ თურქმენი სსრ კავშირში. თურქეთის საელჩოს ატაშეს მეთინ იაფინჯოლარის თანხლებით ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შ. დ. კიკნაძეს. გაიმართა მეგობრული საუბარი.

საუბარს დაესწრო საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო-საკონსულო გაწყოფილების გამგე გ. ა. ჭიპაშვილი.

იმავე დღეს ილტერ თურქმენი ეწვია თბილისის მეჩეთსა და ეპიტაფიის საქალაქო საბჭოს აღმასკომს. ელჩთან საუბრის ოროს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბ. თ. ლობჟანიძემ ილაპარაკა საქართველოს დედაქალაქის განვითარების პერსპექტივებზე.

საუბარს დაესწრნენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი დ. პ. ბოკერია, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგარეო ურთიერთობის განყოფილების გამგე ი. ე. ნოდია.

საქართველოს ეროვნების სხვადასხვა მხარეს რომ ეცნობოდა, თურქეთის რესპუბლიკის ელჩმა დათვალიერა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. იწვია საქართველოს სახელმწიფო მოზეიმს, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, შიხვდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს.

(საქინფორმი).

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

სასიხარულოც და გულსატკენიც

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტი

„კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი სათაურით: „სასიხარულოც და გულსატკენიც“. მასში აღნიშნული იყო, რომ სოხუმის საკონსერვო ქარხანა ქალაქის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. მან დიდი გადამეტებით შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა. გაათმაგებისა სხვა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებიც. ამ წარმატებებში დიდია ქარხნის პარტიული ორგანიზაციისა და მისი კომუნისტების წილი.

მაგრამ, როგორც წერილში იყო აღნიშნული, პარტორგანიზაციის მუშაობაში ნაკლოვანებებსაც ჰქონდა ადგილი. დაბალ დონეზე იდგა ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა. ზოგიერთი კომუნისტი უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა მინდობილ საქმეს. პარტიული ორგანიზაცია კი ამას სათანადო ყურადღებას არ აქცევდა. ახალი ნიმუშის პარტიული ბილეთები ვერ მიიღეს პენსიონერმა კომუნისტებმა ა. ლასეჩკომ და ა. ტოლეჯანმა, იმის გამო, რომ ისინი მთლიანად მოწყდნენ პარტიულ ორგანიზაციას.

ამასთან დაკავშირებით პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტმა რედაქციას აცნობა: წერილში მოყვანილი **შაქტები შემოწმებით დადასტურდა.**

სოხუმის საკონსერვო ქარხნის პირველადი პარტორგანიზაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით მ. ლისეჩკო გაირიცხა სკკპ რიგებიდან პარტორგანიზაციისაგან მოწყვეტისა და ბაპტისტთა სექტაში დასწრებისათვის.

პირველადმა პარტორგანიზაციამ განიხილა აგრეთვე პ. ტოლეჯანიანის პერსონალური საქმე და მიიღო გადაწყვეტილება ჩათვალოს იგი სკკპ რიგებიდან გასულად.

პარტიული კოლექტივის ეს გადაწყვეტილებანი დამტკიცებულ იქნა საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე.

საქალაქო კომიტეტის ბიუროს მიუთითა საკონსერვო ქარხნის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს ნ. ჯალალონიას პარტორგანიზაციაში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების აუცილებლობასა და საწუხდებო მოთხოვნათა შესრულებისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.

მეცნიერული ლაშქრობა სენის გასაკურნავად

ფსიქიატრთა საერთაშორისო სიმპოზიუმი თბილისში გრძელდება

11 ოქტომბერს თბილისში მუშაობა განგრძო ერეკვანში დაწყებულმა საერთაშორისო სიმპოზიუმმა ფსიქიატრიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე — შიზოფრენიასთან ბრძოლის საკითხებზე. მისი ორგანიზატორია ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაცია. სიმპოზიუმის მონაწილე მსოფლიოს 15 ქვეყნის წარმომადგენელნი ისილავენ პრობლემის სხვადასხვა ასპექტს. დაავადების კლინიკური მიმდინარეობის თვალსაზრისებს, ბიოლოგიურ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობს ორგანიზმის სხვადასხვა სისტემაში და, კერძოდ, თვალს ტვინში.

სიმპოზიუმი გახსნა ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტმა პროფესორმა ჯ. რომმა.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა პროფესორმა ი. ზედგინიძემ.

დილის სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა პროფესორ ბ. ნანეიშვილის (სსრ კავშირი) თავმჯდომარეობით, მოისმინეს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ა. ზურაბაშვილის, დოქტორ ა. კოპენის (დიდი ბრიტანეთი), პროფესორ ი. იამაშიტის (იაპონია), პროფესორ ე. მენდელის (ამერიკის შეერთებული შტატები), დოქტორ ჯ. დევისის (ამერიკის შეერთებული შტატები) მოხსენებანი.

განმარტა რა სიმპოზიუმის პირველი სხდომის შედეგები, პროფესორმა დ. ორლოვსკიამ (სსრ კავშირი) საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა:

— ერევანში გამართული დისკუსიებისაგან განსხვავებით, სადაც ძირითადად განვიხილეთ შიზოფრენიის კლინიკური ასპექტები, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, ეპიდემიოლოგია და სხვ., მეცნიერთა თბილისის შეხვედრის დღის წესრიგშია დაავადების ბიოლოგიის საკითხები.

დღეს წაიკითხეს მოხსენებანი, რომლებიც ავლენენ სტრესის, ესე იგი შიზოფრენიის დროს შემგუებლობითი რეაქციების პრობლემის სხვადასხვა ასპექტს. პროფესორ ა. ზურაბაშვილის მოხსენებაში ჩამოყალიბებული იყო მონაცემები გარეგნულ ცვლილებებზე შიზოფრენიით დაავადებულთა ფსიქიკური რეაქციების შესახებ. მან აღწერა ამ რეაქციების თავისებურება, უწოდა მათი დიფერენციული განსხვავება იმ რეაქციებისაგან, რომლებიც შეიმჩნევა სხვა დაავადებების დროს.

დოქტორ ა. კოპენის, პროფესორების ი. იამაშიტისა და ე. მენდელის მოხსენებანი ეხება დაავადების ბიოლოგიურ საკითხებს. ამ მოხსენებებში მოცემულია ცდა აღწერონ შიზოფრენიით დაავადებულთა შორის სომატური, კერძოდ, ენდოკრინული რეაქციების ზოგიერთი თავისებურებანი, აგრეთვე თავის ტვინში მიმდინარე ზოგიერთი პროცესი.

დოქტორმა ჯ. დევისმა წარმოადგინა მოხსენება კელვინისათვის მიტად ძნელი დარგიდან. მეცნიერმა გააკეთა ინფორმაცია ტვინის ბიოქიმიზმის კვლევისადმი ზოგიერთი მეთოდიკური მიდგომის შესახებ კერძოდ. მან დაასახელა ნივთიერებანი, რომლებსაც შეუძლიათ გაამწვაონ ავადმყოფის ფსიქიკური მდგომარეობა. და, პირველად, მათი ეკმბინაცია რამდენადმი ანელებს ფსიქიკური რეაქციების სიმძვავის ხ ახალი მიმართულება ფსიქიატრიაში მიტად პერსპექტიული. როგორც თეორიული ასპექტით, ის კლინიკის დარგშიც. (საქინფორმი).

რ. ნიქსონის გამოსვლა

ვაშინგტონი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი თეთრი სახლის მიერ გამართულ კონფერენციაზე ამერიკის საგარეო ვაჭრობის საკითხებზე გამოვიდა მოკლე შენიშვნებით ამერიკის შეერთებული შტატების „ვაჭრობის შესახებ საგარეო პოლიტიკის კონტექსტში“, თუმცა ვაჭრობას ავტომატურად არ მოპყვება მშვიდობა, თქვა პრეზიდენტმა, მაგრამ ვაჭრობის მეშახებით ქვეყნებს შორის მნიშვნელოვნად იზრდება ამის შესაძლებლობა. რომ განიხილონ უთანხმოებანი და არ იომონ მახ გამო. ეაჭრობა იწვევს კავშირურთიერთობის გაფართოებას არა მარტო მთავრობებს. არამედ აგრეთვე ხალხებს შორის.

ნიქსონმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა „ისწრაფვის შექმნას მტკიცე მშვიდობის სტრუქტურები“, რასაც შეესაბამება, კერძოდ, „ახალი ინიციატივები“ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში.

რ. ნიქსონი მოკლედ შეჩერდა ახლო აღმოსავლეთის პრობლემაზე და განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას „აწუხებს ეს პრობლემა და ცდილობს შეასრულოს პასუხსაგები როლი. რათა მიაღწიოს სამართალი მოქმედების შეწყვეტასა და მშვიდობის სტრუქტურის შექმნას ამ რაიონში“.

გემების შეჯახება

დაკა. 12 ოქტომბერი. (საკდესი). დაკის სამხრეთით, მდინარეების ბრაჰმაპუტრისა და დჯალეშვარის შერთვის ადგილას ასზე მეტი კაცი დაიღუპა ორი სამგზავრო გემის შეჯახების შედეგად. ერთ-ერთი გემი, რომელზეც იყო 250-მდე კაცი, ჩაძირა რამდენიმე წუთში.

სურათზე: იოჰანესბურგის შავკანიანი მცხოვრებლები კითხულობენ ცნობას მეშახტეთა ტრაგედიის შესახებ. კამერა პრეს-საქინფორმის ფოტო.

ჩილე: დახვრეტა, წამება, დევნა

პარიზი, 11 ოქტომბერი, (საკდესი). „აჭედითი ეჭო არა და არ მიჩუმდა. გრძელდება ხვრეტა, მასობრივი სიკვდილით დასჯა, წამება, პატიმრთა ჩივილი და ქვრივების გოდება“, — ასე ახასიათებს ფრანგული გაზეთის „ონდის“ ჟურნალისტი მარსელ ნიდერგანი ჩილეში რეაქციული ძალების მიერ ზუსტად ერთი თვის წინ მოწყობილი სამხედრო გადატრიალების შედეგად შექმნილ ვითარებას. იგი წერს, რომ გადატრიალების შემდგომი პერიოდის მანძილზე „გრძელდება რეპრესიები, ისეთი მეთოდური, სასტიკი და გულგრილი, რომ ჩილეშიაც და საზღვარგარეთაც გული ეკუმშება ყველას, ვინც არ დაუბრმავებია შიშს ან სიძულვილს“.

ჩილეში, განაგრძობს ჟურნალისტი, „დადგა სახელდახელოდ შეთითხნილი სასამართლო პროცესების დრო. საქმეებს განიხილავენ დახურულ დარბაზებში. განაჩენი ყოველთვის საბოლოოა ხოლმე, ხოლო თუ სიკვდილის განაჩენი გამოიტანეს, იგი დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს“.

როგორც შემდეგ აღნიშნავს მარსელ ნიდერგანი, ხუნტა ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ლუის კორვალანს „სახელმწიფო ღალატს“ ბრალდებს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი „მარქსისტული პარტიის წევრია“. მისი სიცოცხლე საფრთხეშია.

სტატიის ავტორი მკითხველს მოუთხრობს იმ საზარელ მეთოდებზე, რომლებსაც პატრიოტებზე იყენებენ ჩილელ პატრიოტთა გასანადგურებლად. იგი წერს: „რომელიმე მივარდნილ ადგილს ტუსაღებით სავსე სატვირთო ავტომობილი მიადგება ხოლმე. ტუსაღებს ეუბნებიან: „თავისუფალი ხართ...“ შემდეგ კი ტყვიამფრქვევებით ხვრეტენ „გაქცევის ცდისათვის“. ჩხრეკა-დაპატიმრებას, აწყობენ დიდაქალაქის გარეუბნებში. ისინი, ვინც ცარაბინერთა ავტომანქანებში ხვდება, უკან აღარ ბრუნდებიან. მეორე დილით მათს ტყვიით დაცხრილულ გვამებს რომელიმე ქუჩის კუთხეში აწყობენ, ან ისინი სანტიაგოში გამავალ მდინარე მაპოჩოს ღინებას მოაქვს ხოლმე. საერთაშორისო ორგანიზაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა, რომელიც სანტიაგოს ერთ-ერთ მორგში იყო, 180 დასახჩრეებული, ზეზელო და უფეხო, გვამი ნახა“.

ლუის კორვალანის ინტერვიუ

რომი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). „სახელმწიფო გადატრიალების მეშვეობით ხალხის ბრძოლას ვერ შეაჩერებ“, — განაცხადა ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლუის კორვალანმა იტალიის რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში. ჩილეს კომპარტიის გენერალურმა მდივანმა თქვა, რომ 27 სექტემბერს დაპატიმრების შემდეგ იგი 8 დღეს ჰყავდათ გამომწყვდეული ერთი ბეწო საამბარეო ოთახში. სადაც რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც კი შეუძლებელი იყო. ოთახში. სადაც ამჟამად ჰყავთ იგი გამომწყვდეული სამხედრო ხუნტას, არავის არ უშვებენ, მას კითხვის შესაძლებლობაც არა აქვს.

ლ. კორვალანმა გადაწყვეტა უარყო ხუნტის ხელმძღვანელთა მტკიცებანი თითქოს სახალხო ერთიანობა ამზადებდა რაღაც „გეგმას“ ქვეყნის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. „ეარა მკვრა, — თქვა ჩილეს კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, — რომ ამ საქმეში სახალხო ერთიანობის პარტიები ყოფილიყვნენ გარეულნი. მე პასუხს ვაგებ ჩემი პარტიისათვის. მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენი პარტიის ძირითადი ამოცანა ის იყო, რომ ხელი შეეწყო საზოგადოების სოციალური, რევოლუციური გარდაქმნისათვის. ლუის კორვალანმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ლათინური ამერიკის ხალხები, მათ შორის ჩილელი ხალხი, განაგრძობენ თავიანთ წინსვლას. ვერც მარქსიზმს, განაცხადა მან, ვერც რაიმე სხვა იდეოლოგიას, რომელიც საზოგადოების უმრავლესობის ძირეულ ინტერესებს შეესაბამება, ვერ მოსპობენ.

„მე მიყვარს თავისუფლება და სპატიმრო სულაც არ მაშინებს. სინდისი არ მქენჯნის და სიკვდილისა არ მეშინია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ომის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი კავკასიისათვის ბრძოლის ფურცლები. უკვე სამი ათეული წელი გავიდა იმ ისტორიული ეპოპეის დამთავრებიდან. კავკასიისათვის გაწეულ ბრძოლებსა და ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამამულო ომის მთელი მსვლელობისათვის.

ფაშისტთა ჯარების დაჯგუფების განადგურება ტამანზე კავკასიისათვის ბრძოლის დამთავრების ეტაპი იყო, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამამულო ომის გრანდიოზულ ბრძოლებში.

ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებით დაიხურა კავკასიის ბრძოლების ისტორიის ბრწყინვალე წიგნი.

ამ შესანიშნავ გამარჯვებაში, ისევე როგორც დიდი სამამულო ომის ყველა ფრონტზე მოპოვებულ წარმატებებში აისახა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა, საბჭოთა ხალხის გმირული საქმენი. კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს კავკასიის დამცველთა ბრძოლა. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქმა Მოსკოვმა სალუტი მისცა ჯარების პატივსაცემად, რომლებმაც გამარჯვება მოიბოვეს. ბევრ შენაერთს და ნაწილს მიენიჭა „ნოვოროსიისკის“, „ტამანის“, „ტემრიუკის“, „ანაპის“ საპატიო წოდებანი. ათასობით მეომარი დაჯილდოდა ორდენებითა და მედლებით. მარტო მედლით „კავკასიის დაცვისათვის“ დაჯილდოებულ იქნა 583.045 მებრძოლი, მეთაური და ზურგის მუშაკი.

არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას კავკასიისათვის ბრძოლების მონაწილეთა ხსოვნა, იმათი გმირობა, ვინც თავი დადო სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამის ნათელი დადასტურებაა ავრეთვე ქალაქების ნოვოროსიისკისა და ქერჩისათვის გმირი ქალაქების საპატიო წოდების მინიჭება. ამით დიდი შეფასება ეძლევა საბჭოთა მეომრების საბრძოლო საქმეებს, რომლებიც იცავდნენ კავკასიას.

კავკასიისათვის ბრძოლაში, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს მშრომელებმა. ათეულათასობით ქართველი მებრძოლი და მეთაური მკერდით იცავდა კავკასიის მისადგომებს. ბევრმა მათგანმა თავი დადო სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და ვეღარ დაუბრუნდა თავის კერას. კავკასიისათვის ბრძოლების მონაწილეთა ერთი ჯგუფი ტრადიციულად გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში მოვიწვიეთ. სტუმართა შორის იყვნენ თადარიგის გენერალ-მაიორი, 414-ე წითელდროშოვანი ანაპის სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის ყოფილი მეთაური, თადარიგის გენერალ-მაიორი **გ. ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, საბჭოთა კავშირის გმირები — თადარიგის პირველი რანგის კაპიტანი **Ი. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ** და თადარიგის მაიორი **გ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ**, თადარიგის პოლკოვნიკები **Ე. ᲫᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ**, **მ. ᲒᲣᲡᲐᲯᲐᲫᲔ**, **ნ. ᲮᲐᲩᲘᲫᲔ**, **ნ. ᲒᲕᲔᲜᲪᲐᲫᲔ**, **მ. ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐ**, თადარიგის პოდპოლკოვნიკები **Ი. ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, **პ. ᲡᲐᲠᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ**, ბატალიონების, ასეულების, ოცეულების ყოფილი მეთაურები **შ. ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, **გ. ᲒᲐᲠᲐᲛᲘᲫᲘ**, **ლ. ᲙᲝᲜᲝᲜᲝᲕᲘᲩᲘ**, **ვ. ᲠᲣᲑᲐᲫᲔ**, **ლ. ᲔᲐᲕᲐ**, **ნ. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, **Ა. ᲛᲣᲨᲘᲔᲕᲘ**, **Ა. ᲕᲐᲠᲗᲝᲜᲘᲐᲜᲘ**, **დ. ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ**, **მ. ᲛᲗᲕᲠᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, **ნ. ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, **გ. ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ**, ყოფილი სამხედრო ექიმი **ᲕᲔᲜᲔᲠᲐ ᲫᲝᲘᲐᲕᲐ**.

გაიმართა გულთბილი საუბარი. მათ მოიგონეს და მოგვითხრეს კავკასიის დაცვისათვის ბრძოლების ეპიზოდები, იმ ქარცეცხლიან დღეთა ამსახველი ამბები. ქვემოთ მოვაყავს ზოგიერთი მათგანის გამოსვლის მოკლე ჩანაწერი.

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები აღნიშნა, თადარიგის გენერალ-მაიორმა, 414-ე ანაპის წითელდროშოვანი ქართული დივიზიის ყოფილმა მეთაურმა **გ. ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ**, უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ზეიმით აღნიშნავენ კავკასიისათვის ბრძოლების 30 წლისთავს. ამ გმირულ ბრძოლებში სასაბრალო ადგილი უჭირავს ჯერ ქ. ნოვოროსიისკისა და ტამანის ნახევარკუნძულის და შემდეგ ქერჩის განთავისუფლებას, რომლის 30 წლისთავი ამას წინათ შესრულდა. ამ ოპერაციის ძირითადი სიმძიმე გადაიტანა მე-18 არმიამ, რომელსაც სათავეში ედგა გამოჩენილი მხედართმთავარი **კ. ნ. ᲚᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ**, არმიის პოლიტგანყოფილებას ხელმძღვანელობდა **ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ**, ხოლო საგანგებო ნაწილს უფროსი **ვ. ᲩᲐᲠᲔᲚᲘᲐ** იყო.

კავკასიის ბრძოლების 30 წლისთავს დაემთხვა საბელოვანი ქართველი გენერლის კ. ლესელიძის დაბადების 70 წლისთავი.

ჩემი დღევანდელი გამოსვლა მინდა დავიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით, რომლებიც მან 1971 წლის 14 მაისს თბილისში — საქართველოს სსრ ოქტომბრის რეგოლუციის ორდენით დაჯილდოებისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომაზე თქვა:

„ᲛᲔ ᲛᲝᲛᲜᲘᲮᲔᲓᲐ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲣᲜᲘᲨᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐᲜᲐᲠᲗᲐᲜ — მე-18 არმიის სარდალ გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძესთან ერთად, ფრონტზე ძალიან მალე მეფავნდება ადამიანის ბუნება. იქ მაშინვე იგები, ვინ რას წარმოადგენს, კონსტანტინე ლესელიძე დამახსოვდა როგორც ქართველი ხალხის საუკეთესო ეროვნული თვისებების განსახიერება. ეს იყო სიცოცხლით სავსე ვაჟაცი, მტრისთვის მკაცრი და მეგობრებისათვის გულუხვი, პატიოსანი კაცი, სიტყვის კაცი, გონებამახვილი და გულმგზნებარე“...

...კავკასიონის მისადგომებთან მძიმე ბრძოლები მამდინარეობდა. ამ დროს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭომ შეცვალა 46-ე არმიის სარდლობა. არმიის სარდლად დაინიშნა სახელგანთქმული გენერალი კონსტანტინე ლესელიძე, არმიის შტაბის უფროსად კი გენერალი მიხეილ მიქელაძე. ჩამოყალიბდა ახალი ნაწილები, შენაერთები და სასწრაფოდ გაიგზავნა უმნიშვნელოვანესი მიმართულებები. ახლად შექმნილი 242-ე სამთო მსროლელი დივიზია გაიგზავნა ზემო სვანეთის უღელტეხილების დასაცავად, ხოლო 392-ე ქართული დივიზია ჩრდილოეთ კავკასიაში. შეიქმნა თანამედროვე საბრძოლო იარაღითა და საჭურვლით შეიარაღებული რამდენიმე ალპინისტური რაზმი.

ამ დაძაბულ ვითარებაში, როდესაც მტერმა კავკასიონისაკენ გადმოისროლა თავით ფეხთამდე შეიარაღებული რამდენიმე დივიზია, ხელთ იგდო უღელტეხილი და საშიშროება დღითიდღე იზრდებოდა, ქართველი ხალხი ამიერკავკასიის მოძმე ხალხებთან ერთად ერთსულოვნად დადგა ფეხზე ფაშისტი ავანტაჟების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ასეთ გითარებაში მოუხდა ამ რაიონში მუშაობის დაწყება კ. ლესელიძეს. მას დაეკალა შეეჩერებინა გერმანიის ურდოები უღელტეხილებზე, მოემზადებინა კონტრშეტევაზე გადასვლა. ამ უბანზე ფრონტის სიგრძე 400 კილომეტრს აღწევდა. ნიჭიერმა და უნარიანმა მხედართმთავარმა უღელტეხილების ოპერაცია ისე დაგეგმა, რომ გაითვალისწინა ბრძოლებში მოსალოდნელი ყველა წვრილმანიც კი. ჯარების უთიერთმოქმედება სანიმუშოდ მოაწყო, საბრძოლო ამოცანა კარგად ესმოდა თვითეულ მებრძოლს, რამდენიმე დღეღამის განუწყვეტელი ბრძოლების შედეგად 46-ე არმიამ ჰიტლერელებს მრავალი მწარე დარტყმა აგემა და დიდი ზიანი მიაყენა. გენერალ ლესელიძის არმიამ ოსტატურად ჩაატარა უდიდესი მნიშვნელობის ოპერაცია, გაანადგურა მტრის ჯარები კავკასიის ცენტრალურ უღელტეხილებზე. ვინც გადაურჩა ჩვენი ჯარების დარტყმას, ისინი მთის გადალმა გადარეკეს. კავკასიონის ჭაღარა ქედი ამიერიდან გაწმენდილი იყო ფაშისტური სიბილწისაგან.

ამ ოპერაციის საუკეთესო ხელმძღვანელობისათვის და უმაღლესი მთავარსარდლის დავალებათა დროულად და ზედმიწევნით კარგად შესრულებისათვის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 14 ოქტომბრის დადგენილებით კონსტანტინე ლესელიძეს მორიგი სამხედრო ხარისხი — გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა. ამავე დროს იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდებულ იქნა ლენინის ორდენით.

ცხარე ბრძოლები კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე წუთითაც არ წყდებოდა. გამოჩენილი მხედართმთავრის კონსტანტინე ლესელიძის არმია დარტყმას დარტყმაზე ახორციელებდა.

შემდეგ ქ. ლესელიძე უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით ინიშნება 47-ე არმიის სარდლად. ეს არმია ამიერკავკასიის ფრონტის შავიზღვისპირეთის ჯგუფში შედიოდა. ლესელიძის მოქნილი, უნარიანი ხელმძღვანელობით ამ არმიამ არაერთი დაძაბული ბრძოლა გადაიხადა ტუაფსესა და გელენჯიკის მისადგომებთან, განსაკუთრებით ტყიან და მთაგორიან ადგილებში, კერძოდ, შაბშუგის მიდამოებში. 47-ე არმიამ მწარე დარტყმები აგემა და დიდი ზიანი მიაყენა მტრის გასტაგაევსუაიას, აბინსკაიას, მინგრელსკაიას, კრიმსკაიას და კრასნოდარის მხარის სხვა დასახლებული პუნქტების განთავისუფლებისათვის ბრძოლების დროს.

დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის მომზადება „ცისფერ ხაზთან“ მოწინააღმდეგის გასანადგურებლად. ახალი შეტევითი ოპერაციის გეგმა ითვალისწინებდა მოწინააღმდეგის ნოვოროსიისკის დაჯგუფების მოსპობას მე-18 არმიის, შავი ზღვის ფლოტისა და ავიაციის გაერთიანებული ძალებით.

ამ ამბებზე ცოტა ხნით ადრე მე-18 არმიის სარდლად დაინიშნა კონსტანტინე ლესელიძე. მის წინაშე იდგა ფრიად რთული ამოცანა — ქალაქ ნოვოროსიისკის განთავისუფლება.

1943 წლის სექტემბერი მოახლოდა. უკვე დრო იყო დაწყებულიყო ბრძოლა ნოვოროსიისკის განთავისუფლებისთვის. ლესელიძემ შეადგინა ქალაქის აღების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა კომბინირებული დარტყმების განხორციელებას, როგორც ფრონტიდან, ისე ზღვიდან და ჰაერიდან. ბრძოლამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია, ძნელი იყო იმის თქმა, თუ გის მხარეზე დარჩებოდა გამარჯვება. 16 სექტემბრამდე გრძელდებოდა სისტემაზე ბრძოლები ქუჩებსა და მოედნებზე, რაც ნიჭიერი სარდლის ხელმძღვანელობით ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ამ ბრძოლებისათვის კონსტანტინე ლესელიძე დაჯილდოებულ იქნა სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენით.

ჩვენი ჯარები ოკუპანტებს წუთიერი შესვენების საშუალებას არ აძლევდნენ, ცხარე ბრძოლების შედეგად 1943 წლის 9 ოქტომბერს საბოლოოდ დაძლეულ იქნა მტრის წინააღმდეგობა, და ჩრდილეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა, რომელთა შემადგენლობაში მე-18 არმიაც შედიოდა, ტამანის ნახევარკუნძული სამუდამოდ გაწმენდეს მტრის ჯარებისაგან.

ამ საბოლოო ოპერაციის საუკეთესო ხელმძღვანელობისათვის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 9 ოქტომბრის დადგენილებით კონსტანტინე ლესელიძეს მორიგი სამხედრო წოდება — გენერალ-პოლკოვნიკობა მიენიჭა და დაჯილდოდა კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენით. მისი მხედართმთავრული ნიჭი, უნარი და ოსტატური ხელმძღვანელობა ჯარებისადმი კიდევ უფრო მკვეთრად გამოვლინდა შემდგომ ბრძოლებში უკრაინის მიწა-წყალზე, რისთვისაც ლესელიძე დაჯილდოებულ იქნა ბოგდან ხმელნიცკის ორდენით.

დავიზიარა, რომელსაც მე ვმეთაურობდი, ანაპის კარის მისადგომებთან იყო განლაგებული..

ღამით მოწინააღმდეგის პოზიციიდან დავბრუნდი. მაგიდას შემოვუსხედით, რუკას ვათვალიერებდი, დივიზიის განლაგებაში ზოგი ცვლილება შემქონდა. მალე გარიჟრაჟიც მოახლოვდა, უცებად მანქანის ხმა შემომესმა. წამოვდექი და სანამ სამეთაურო პუნქტთან მივიდოდი, გავიგე, რომ მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ლ. ი. ბრეჟნევი მოსულიყო. მას რამდენიმე სამხედრო პირი ახლდა. მათ შორის იყო საგანგებო ნაწილის უფროსი ვ. ზარელუა. მივედი და ვუპატაკე. სტუმრები გულთბილად მოგვესალმნენ, მიუახლოვდნენ მაგიდას. ბრეჟნევი საველე სკამზე ჩამოჯდა, მაგიდაზე გაშლილ რუკას გადახედა, ჩემსკენ პირი იბრუნა და შემეკითხა: როგორ მიდის საქმე? მე ვუპასუხე: ქართული დივიზია ცდილობს სხვებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქ. ანაპის განთავისუფლების საქმეში, ანაპა განთავისუფლებული იქნება მტრის ჯარებისაგან. შემდეგ იგი ჯარისკაცების პოლიტიკურ და მორალურ განწყობილებაზე შემეკითხა. შესანიშნავია, — ჩაერია საუბარში ჩვენი დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი ვ. ჯანჯღავა. სტუმრებმა რჩევა-დარიგება მოგვცეს. გულთბილად დაგვემშვიდობნენ და წავიდნენ.

ლ. ი. ბრეჟნევი მთელი რიგი რთული და დიდი სამხედრო ოპერაციის აქტიური მონაწილე იყო. მას ვხედავდით არა მარტო შენაერთებსა და ნაწილებში, არამედ ქვედანაყოფებსა და მცირე ერთეულებში მოგზაურობისა და შეტევის დროს, ლაშქრობასა და დაზვერვაში, საარტილერიო და ტყვიამფრქვევთა საცეცხლე პოზიციებზე, პირველსა და მეორე ეშელონებში, სანგრებში და მიწაყრილებზე, ტრანშეებსა და ძელმიწურებში, შტაბებსა და პოლიტორგანოებში. ყველგან ბოლშევიკური ნებისყოფით გამოირჩეოდა და რკინისებური დისციპლინით ამყარებდა წესრიგს.

Ე. ᲫᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ (თადარიგის პოლკოვნიკი, პოლკის ყოფილი მეთაური). კავკასიის მისადგომებთან და შემდეგ ბრძოლებშიც მე მომიხდა პოლკის მეთაურობა. ჩვენი პოლკი შედიოდა 414-ე დივიზიის შემადგენლობაში. მტერს გადაწყვეტილი ჰქონდა როგორმე შეეჩერებინა ჩვენი არმიის წინსვლა ტამანის ნახევარკუნძულისაკენ. ამისათვის სავულდაგულოდ გაამაგრეს სტანიცა ანაპსკაია და ახლომახლო დასახლებული პუნქტები. შეტევის დაწყების წინ არმიის სარდლობამ დაათვალიერა ჩვენი საბრძოლო პოზიციები და ამაყოფილება გამოთქვა. დაიწყო საარტილერიო მომზადება, რის შედეგადაც მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები ისე დაზიანდა, რომ მტერს ჩვენს უბანზე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის საშუალება აღარ ჰქონდა. ანაპაში პირველი შეიჭრა შ. დავითულიანის ათასეული სხვა ნაწილებთან ერთად. მტერს გადავუჭერით უკანდასახევი გზა. მედგარი დარტყმების შედეგად ფაშისტებმა ვეღარ გაუძღვეს ჩვენს ნაწილებს და დიდძალი ტყვე დაგვნებდა. ამ ტყვეთა შორის იყო ქალაქ ანაპის გერმანელი კომენდანტი. ანაპის შემდეგ მე-18 არმია დაიძრა ნახევარკუნძულისაკენ. აქ მნიშვნელოვანი სომაგრე იყო მთა. ამ ზღუდის აღებაში თავი ისახელა 414-ე ქართულმა დივიზიამ, ჩვენი ჯარების წინსვლის შეჩერება მტერმა ვეღარ შეძლო, და ტამანის ნახევარკუნძული მთლიანად განთავისუფლებულ იქნა, ამ ბრძოლებში რუსებთან, უკრაინელებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებთან ერთად ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ ისახელა თავი.

მ. ᲒᲣᲡᲐᲯᲐᲫᲔ (დივიზიის შტაბის ყოფილი კომისარი, თადარიგის პოლკოვნიკი), ჩვენი დივიზია დაბანაკებული იყო ერთ-ერთ კურორტის მიდამოებში. საბრძოლო წვრთნის შემდეგ, იგი მამისონის უღელტეხილით ჩრდილო კავკასიაში გადავიდა, ფერდობი დაიკავა და ბრძოლებში ჩაება. დივიზიას მეთაურობდა სამოქალაქო ომებში გამობრძმედილი გენერალი ვ. სარგაკოვი. მისმა უნარიანმა ხელმძღვანელობამ, ჩვენი ჯარისკაცების გულადობამ საშუალება არ მისცა მტერს გაერღვია შენაერთის საბრძოლო განლაგება და გაჭრილიყო მაჰისონისაკენ. ჩვენი დივიზია ინტერნაციონალური იყო. ჩაკასიის მისადგომებს იცავდნენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, აზერბაიჯანელები, სომხები და სხვ. მაგრამ უმეტესობა მაინც ქართველები იყვნენ. ისინი ბრძოლაში გამბედაობისა. და სამშობლოს სიყვარულის შესანიშნავ მაგალითებს იძლეოდნენ, მახსენდება, თუ რა დიდი დახმარება გაუწია ჩვენს დივიზიას საპარაშუტო ბატალიონმა, როგორც მტრის მოძრაობაზე ცნობის მოწოდებაში, ისე მისი ზურგის კომუნიკაციების მოშლის საქმეში. პარაშუტისტები აფეთქებდნენ ხიდებს, საწყობებს, მოგერიებითი ბრძოლების პერიოდში ამ ბატალიონმა 175 მოენე ჩაიგდო ხელში, რითაც ძვირფასი ცნობები შეეიტყეთ მტრის განზრახვათა შესახებ. რა თქმა უნდა, ბრძოლებში ბევრი ჩვენი თანამემამულე დაეცა გმირულად.

1942 წლის დეკემბერში ჩვენი — 351-ე დივიზია სხვა შენაერთებთან ერთად გადავიდა შეტევაზე. ამ მოგერიების წინა ხაზის დამუშავების შემდეგ რაზმმა შეუტია მდინარე ბაქსანის მარცხენა ნაპირიდან. მძუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, შტერი განადგურებულ იქნა. შემდეგ დაგვეკავა გადასულიყავით პროხლადნაიაში და ჩაგვეკეტა მდინარე მალკის ხიდი და სხვა გამოსავალი გზები, რომ მტერს საშუალება არ მისცემოდა სოფელ ალტუდში მაშველი ძალების გადმოსროლისა. რაზმმა დროზე დაიკავა პროხლადნაიადან გამოსავალი გზები და მტერს დიდი ზარალი მიაყენა.

ბაქსანის რაიონის სოფელი მაიუკოვოში მტერმა თავისი ძალები გადააჯგუფა. საჭირო იყო ამ სოფლის დაკავება. მტერი კი ყოველნაირად ცდილობდა, თუნდაც დიდი მსხვერპლის ფასად, ხელიდან არ გაეშვა სოფელი მაიუკოვო. მისი ცდები უშედეგო გამოდგა. ჩვენმა პოლკმა გატეხა მტრის წინააღმდეგობა და ხელჩართული ბრძოლით გაათავისუფლა დასახლებული პუნქტი.

ლ. ᲔᲐᲕᲐ (პოლკის ყოფილი მეთაური, თადარიგის მაიორი). ჩემს მეხსიერებაში ცოტა საბრძოლო ეპიზოდი როდია აღბეჭდილი. როცა კავკასიის დაცვისათვის ბრძოლების 30 წლისთავს აღვნიშნავთ, მინდა ისინიც მოვიხსენიო, ვინც თავი შესწირა სამშობლოს, „ერძოდ ვილაპარაკო კ. ტაბიძეზე, ა. მაჩხანელზე, ა. კვარაცხელიასა და სხვებზე. აი როგორ დაიღუპნენ ისინი? ჩვენი მსროელი დივიზიის მებრძოლები სასტიკად გაუსწორდნენ გრიგინსკაიაში მოკალათებულ ჰიტლერელების გარნიზონს, ამოქლიტეს იგი, გაათავისუფლეს სოფელი. ამის შემდეგ მათ ახალი საბრძოლო დავალება მიიღეს — უკმრავი ტბების თხელ ყინულზე გავლით დივიზია მტრის ზურგში უნდა აღმოჩენილიყო ჩერნოიარკოვსკაიას რაიონის სოფელ კალაბატკაში მტრისათვის ერთადერთი უკან დასახევი გზა უნდა გადაეჭრა.

ეს ამოცანა პირნათლად შესრულდა პოლკოვნიკ სტეფანე ჩერუჩაშვილის ხელმძღვანელობით. დივიზიამ გაათავისუფლა რაიონული ცენტრი ჩერნოიარკოვსკაია და ბატალიონი მტრისათვის ერთადერთი უკან დასახევი გზა ისევ ჩვენ ხელში ავიღეთ. ეს ამოცანა ბატალიონმა ოცეულ-ოცეულ ჯგუფად ბოლოს ალყა შემოარტყა ალტუდს. ალყა ალყაზე, ოცეული ოცეულზე, ასეული ასეულზე, ბატალიონი ბატალიონზე ... ბოლოს ალყა ალყაზე, ... ბოლოს ... ...

კონცერტები და შთაბეჭდილებები

ხელმძღვანელი ჯ. კახიძე.
მ. კვირიკაშვილის ფოტო.

8 ოქტომბერს თბილისში, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის გამოსვლით გაიხსნა სიმფონიური მუსიკის ახალი საკონცერტო სეზონი.

შემოქმედებითი ზრდის გზით

საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული კოლექტივის — სიმფონიური ორკესტრის ახალი საკონცერტო სეზონის გახსნამ სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში დედაქალაქის ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. აღნიშნულ კონცერტებზე ორკესტრი მსმენელთა წინაშე თავისი მთავარი დირიჟორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ჯანსუღ კახიძის ხელმძღვანელობით წარსდგა, წარსდგა რთული და საინტერესო პროგრამებით.

პირველ კონცერტზე შესრულებული იყო ი. ჰაიდნის სიმფონია, ს. რახმანინოვის მე-2 საფორტეპიანო კონცერტი (სოლისტი რ. კერერი) და ი. სტრავინსკის „კურთხეული გაზაფხული“, შემდეგ კონცერტის პროგრამაში კი მოვიხმინეთ ა. დვორჟაკის სიმფონია № 5, ბეთჰოვენის კონცერტი № 5 ფორტეპიანოსათვის და გ. ყანჩელის ახალი, მესამე სიმფონია. უკვე ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებების რეპერტუარში შეტანა ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდი მონდომებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით მომზადებული ჩვენი სიმფონიური ორკესტრი ახალი სეზონისათვის. შედეგი სასიხარულო გამოდგა და მაღლიერმა მსმენელმა მხურვალე ოვაციებით გამოხატა თავისი აღფრთოვანება.

ჰაიდნის სიმფონიის შესრულებისას ორკესტრმა და დირიჟორმა ნაწარმოების სტილის სწორი გაგებით შეძლეს გადმოეცათ ვენის კლასიკოსის მუსიკის სილამაზე, ემოციური საწყისი, სამყაროს ნათელი აღქმის გრძნობა. სულ სხვაგვარი ნაწარმოები შესრულდა იმავე კონცერტის მე-2 განყოფილებაში. იგორ სტრავინსკის მუსიკა ბალეტისათვის „კურთხეული გაზაფხული“ მეოცე საუკუნის მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია. აღსანიშნავია, რომ ეს ნაწარმოები პირველად 1913 წელს შესრულდა პარიზში (ბალეტის ლიბრეტო ეკუთვნის ცნობილ რუს მხატვარს ნ. რერიხს) და სასტიკი მარცხი განიცადა, რადგან უჩვეულოდ ეღერდა მსმენელისათვის. გავიდა წლები და ჭეშმარიტების უდიდესმა კრიტიკოსმა: დრომ და საზოგადოებრივმა პრაქტიკამ განაპირობეს გენიალური ქმნილების საყოველთაო აღიარება. ნაწარმოების შესრულება უადრესად დიდ პროფესიულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და სიმფონიური ორკესტრისაგან დიდ ოსტატობას მოითხოვს. თბილისში „კურთხეული გაზაფხული“ პირველად აეღერდა და დაგვარწმუნა, რომ დირიჟორ ჯ. კახიძისა და ქართული სიმფონიური ორკესტრის სახით შესანიშნავი ინტერპრეტატორები ჰპოვა.

შესაძლოა, რომ ნაწარმოების დაწყებისას ორკესტრს ემჩნეოდა ოდნავი შებოჭილობა, მაგრამ სულ მალე იგი აეღერდა მთელი სიძლიერით და ფერთოდ გადაგვიშალა დიდი კომპოზიტორის მუსიკის მთელი სილამაზე. ანტონინ დვორჟაკის მე-5 სიმფონია მსოფლიო სიმფონიური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს ეკუთვნის. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნისას შექმნა იგი ჩეხმა კომპოზიტორმა. სიმფონია აგებულია ჩეხური ეროვნული მუსიკის ინტონაციებსა და რიტმებზე. ამასთანავე მასში ნათლად გვესმის ამერიკული მუსიკალური ფოლკლორის დამახასიათებელი ელემენტებიც. ნაწარმოები არაერთხელ შესრულებულა ჩვენს ქალაქში სხვადასხვა ორკესტრებისა და დირიჟორების მიერ. ახალი შესრულება ჩვენი აზრით ერთ-ერთი საუკეთესოა. ნატიფი გემოვნების გრძნობით შემსრულებლებმა შეძლეს დამაჯერებლად გადმოეცათ სიმფონიის დრამატურგიული საწყისი. გაზეთის რეცენზიის ჩარჩოები საშუალებას არ გვაძლევს დაწვრილებით აღვნიშნოთ საორკესტრო ჯგუფების კონცერტმეისტერთა წვლილი ამ სიმფონიის და განსაკუთრებით ი. სტრავინსკის ნაწარმოების წარმატებით შესრულებაში. ყოველი მათგანი ამ კონცერტებზე მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

კონცერტის პრემიერა იყო ახალი ქართული სიმფონიის შესრულება. გ. ყანჩელის მე-3 სიმფონია უდავოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. ქართველი კომპოზიტორი, შესანიშნავად ფლობს რა თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნიკას, ორიგინალურად უთავსებს მას ეროვნული მუსიკისათვის დამახასიათებელ ელემენტებს. მე-3 სიმფონიაში ჩვენ მას ვისმენთ სვანური ფოლკლორის საინტერესო, ორიგინალურ გამოყენებაში. ძალზე თავისებურ ელფერს უქმნის ამ სიმფონიას პარტიტურაში ვოკალური პარტიის შეტანა და თავისებური (ჩვენთვის შესაძლო უჩვეულოდ კი!) საორკესტრო შერიხვების გამოყენება. გ. ყანჩელის ქმნილება რთული ნაწარმოებია და ამიტომ მისი დეტალური ანალიზი ერთი მოსმენის შედეგად შეუძლებლად მიგვაჩნია. პირველი შთაბეჭდილება კი როგორც თვით ნაწარმოებიდან, ისევე შესრულებიდანაც ჩინებულია.

კონცერტებში მონაწილეობა მიიღო ცნობილმა საბჭოთა პიანისტმა რუდოლფ კერერმა. რ. კერერის ჩვენი მსმენელი კარგად იცნობს: თბილისის მკვიდრი არაერთხელ ჩამოსულა საგასტროლოდ შობლიურ ქალაქში და თავისი ხელოვნებით დაუტკბია მუსიკის მოყვარულნი. ამჯერად პიანისტმა სიმფონიური ორკესტრის თანხლებით შეასრულა ს. რახმანინოვის მე-2 და ბეთჰოვენის მე-5 საფორტეპიანო კონცერტები. პიანისტმა არც ახლა დატოვა აუღელვებელი თავისი მსმენელები, თუმცა რ. კერერი თავის შესაძლებლობებთან შედარებით საკმაოდ მკრთალად მოგვეჩვენა. სიმფონიური სეზონი დაიწყო. დაიწყო იგი კარგად, საინტერესოდ. ნათლად ჩანს სიმფონიური ორკესტრის შემოქმედებითი ზრდა, წინ გადადგმული ნაბიჯები. ეთმედოვნებთ, რომ მოწვეული გავხდებით ამ ნიჭიერი კოლექტივის და მისი ხელმძღვანელის მომავალი წარმატებისა.

სიმონ ცინცაძე,
მუსიკისმცოდნე.

ასე აფასებენ

იმედით აგვავსო

საქართველოს მუსიკალური საზოგადოებრიობისთვის უდამ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სიმფონიური მუსიკის სეზონია გახსნა. დღეს, როცა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის რამდენიმე ახალ ნამუშევარს გავეცანით, სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ საინტერესო სიახლეთა წინაშე აღმოვჩნდით. ჯერ ერთი, სრულიად მოულოდნელად ორკესტრი ახლებურად, მწყობრად აეღერდა: მეორეც, ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ჯახუღ კახიძე დიდი პოტენციის, ნიჭიერი, მეტად ორიგინალური დირიჟორია... მან დიდი მუშაობა გასწია იმისთვის, რომ ჩვენს სიმფონიურ ორკესტრს სახე ეცვალა, რომ მისი აფიშა უფრო რთული, თანამედროვე, მრავალფეროვანი გამხდარიყო. ერთი მხრივ ეს მსმენელისთვის საინტერესო მოვლენაა, მეორე მხრივ, თვით ორკესტრის მუსიკოსებისთვის — მნიშვნელოვანი სტიმული.

როგორც ვხედავთ, სიმფონიური მუსიკის ახალმა სეზონმა მთელი ხმით გვამცნო თავისი მოსვლა, და სასიხარულოა, რომ იგი ახლებურად წარმოგვიდგა.

ალექსი მაჭავარიანი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

კარგი დასაწყისი

ახალი სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო. სასიხარულოა რომ საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულ სიმფონიურ ორკესტრს სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი, ენერგიული, თავისი საქმის მცოდნე დირიჟორი ჯანსუღ კახიძე. შესანიშნავი მუსიკალობა, სადირიჟორო ტექნიკა მას ხელს უწყობს ჩასწვდეს და გამოავლინოს ნაწარმოების ძირითადი შინაარსი, მკაფიოდ გამოჰყოს მთავარი, ძირითადი მომენტი მეორეხარისხოვანი დეტალებისაგან. სწორედ ამის შედეგია, რომ ორკესტრმა სულ მოკლე ხანში გამოავლინა თავისი დაფარული შესაძლებლობანი. მაგალითად, ჩვენს წინაშე ბრწყინვალედ აეღერდა სტრავინსკისა და ჰაიდნის ეროთლესი ნაწარმოებები, და ეს თავისთავად მეტყველებს სიმფონიური ორკესტრის დიოს პერსპექტივებზე, ერთი სიტყვით, ორკესტრმა სახე იცვალა. სეზონი მრავალ საინტერესო სიახლეს გვპირდება და მინდა დიდი სიხარული გამოვთქვა ასეთი კარგი დასაწყისისათვის.

რევაზ გაბიჩვაძე,
კომპოზიტორი,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

ფრიად სასიხარულოა

როცა ორკესტრი ამდენ მსმენელს მოიზიდავს, ეს უკვე თავისთავად საყურადღებოა. საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მიმართ კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ მის ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა. ჩემი აზრით, უწინარეს ყოვლისა, ეს არის ისეთი დირიჟორის გამოჩენა, რომელმაც შეძლო ორკესტრის შემოქმედებითს ცხოვრებაში ახალი, საინტერესო მომენტის შეტანა. მუსიკოსებმა დაიჯერეს მისი და „გაჰყვნენ“. თუ რას ნიშნავს ეს მოგვლენა, ყველა პროფესიული მუსიკოსისთვის გასაგებია — შემოქმედება იწყება აქედან.

ჯანსუღ კახიძე ნიჭიერი, ერუდიტებული დირიჟორი, ახლის მაძიებელი, საინტერესო შემოქმედია, და სულ მოკლე ხანში მისი ხელი ორკესტრს დაეტყო. ვფიქრობ მომავალში უფრო მტკიცე ნაწილთა მოწმენი გავხდებით. და ეს ფრიად სასიხარულოა.

ფილიპე ლლონტი,
კომპოზიტორი.

სპორტი

სსრ კავშირის პირველობაზე

ჭადრაკი

კარპოვი უტევს სპასკის

უმაღლესი ლიგის მეშვიდე ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია კარპოვ-სპასკის პარტიამ. სატურნირო დარბაზში, ცხადია, ტკივა არ იყო. გულშემატკივართა ნაწილს ჭეშმარიტ მოუხდა ცდა და აქ გამოკიდებული სადემონსტრაციო დაფით შეხვედრილთათვის თვალყურის დევნება.

ესპანურ პარტიაში, რომლის დიდ მცოდნეებადაც კარპოვი და სპასკი ითვლებიან, თეთრები თავიანთ ძალებს თავს უყრიდნენ მეფის ფრთაზე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი კი აქტიურობდა ბრძოლის საწინააღმდეგო უთაზე. სპასკის ორივე ეტლი ლაზერის ფრთაზე გადაისროლა. შუა თამაშში, გამოირკვა, რომ ახალგაზრდა გროსმაისტერი უფრო სახიფათო მეჭარას ქმნიდა. სპასკი თავდაცვაზე გადადგა. ეტყობა მას ვეღარაფერი იხსნიდა, კარპოვს რომ არ ეჩქარა. მართალია, ლენინგრადელმა მოჭადრაკემ მოიგო ფიგურა ორ პაუნში, მაგრამ სპასკის ძალებიც აშკარად გამოცოცხლდნენ. „მაინც ვის მხარეზეა უპირატესობა?“ — ჰკითხეს გროსმაისტერ სუეტენს. „მდგომარეობის ერთგვარად შეცვლის მიუხედავად, ისევ კარპოვის მხარეზე“ — იყო პასუხი. ეს გადადებული პარტია მე-9 ტურის შემდეგ დამთავრდება.

სავნბნმა დაამარცხა ბელიავსკი. ამავე დროს მსჯელობა კოლეგიამ გამოაცხადა, რომ სავონს დამარცხება ჩაეთვალა 10 ოქტომბერს კ. გრიგორიანთან შეჯვედრაზე გამოუცხადებლობის გამო. ყაიმზე შეთანხმდნენ სმისლოვტალი, კერეს-პეტროსიანი, პოლუგაევსკი-კუზმინი და ტუკმაკოვ-ავერკინი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

7 ტურის შემდეგ 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს კარპოვს, 4,5 ქულა — კუზმინს, ოთხ-ოთხი ქულა და თითო გადადებული პარტია — პოლუგაევსკისა და რამპოვსკის, 3,5 ქულა და 2 გადადებული პარტია — სპასკის.

იშვიათი სიმჭიდროვე

ღია თბილისში პირველი ლიგის მოჭადრაკეები ორიგ, მეშვიდე ტურს გაითამაშებენ. ექვსი ტურის შემდეგ შეჯიბრების მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: ოთხ-ოთხი ქულა აქვთ ბრონშტეინს, ვაპნიანსა და ფურმანს, 3,5 ქულა — ჯინჯიხაშვილსა და პალატნიკს, სამ-სამი — გუფელდს, გიორგაძეს, ვასიუკოვს, მაკარიჩევს, რაზუვაევს, კუნინის, კლოვანსა და დვორეცკის, 2,5 ქულა — ბაგიროვსა და ცეშკოვსკის, ორ-ორი ქულა — პოდგაეცს, ოსნოსსა და ზილბერშტეინს.

ყურადღებას იპყრობს იშვიათი სიმჭიდროვე გათამაშების ცხრილში. პირველ ადგილს ბოლოსაგან აშორებს სულ ორი ქულა. თბილისელები საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლის კარგ შესაძლებლობას ინარჩუნებენ. სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს ორივე ახალგაზრდა ოსტატის ჯინჯიხაშვილისა და გიორგაძის თამაში. რაც შეეხება გროსმაისტერ გუფელდს, წარმატებითი სტარტის შემდეგ მან რამდენადმე უკლო თამაშს, თუმცა ასეთი გამოცდილი მეჭიდროსისათვის ერთი დამარცხების სიმწარის გადატანა დიდი პრობლემა არ უნდა იყოს.

გ. გამრეკელი.

თბილისის ტურნირის მონაწილენი

რ. ჯინჯიხაშვილი
გ. სანაიას ფოტო.

რამდენიმე სტრიქონით

● **ქლდეზე ცოცვა.** იალტაში, ჭვრის მთაზე, სადაც არაერთხელ უჩვენებია თავისი უბადლო ოსტატობა სახელგანთქმულ ქართველ სპორტსმენს მიხეილ ხერგიანს, მის საპატივსაცემოდ გაიხსნა მემორიალური დაფა. აქვე, ეგრეთწოდებულ მ. ხერგიანის კლდესთან გაიმართა საბჭოთა ალპინიზმის 50-წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის VI ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის 18 გუნდი და (ცონკურსგარეშე) — ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, აშშ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და იაპონიის სპორტსმენები.

● **ტანჭარაჯიში.** საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით ევროპის ჩემპიონატზე ქალთა შორის, რომელიც გაიმართება 26-27 ოქტომბერს ლონდონში, საბჭოთა ნაკრების ლირსებას დაიცავენ ლიუდმილა ტურიშევა, ოლგა კორბუტი და რუსუდან სიხარულიძე.

● **შუხიერმი.** გუშინ ოდესაში გაიმართა „ა“ კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი მატჩი გათამაშების ლიდერებს — ადგილობრივ „ჩერნომორეცსა“ და კიშინიოვის „ნისტრუს“ შორის, თამაშის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. პუნალტებით გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:3. ახლა ლიდერებს 46 ქულა აქვთ თვითეულს.

ტუშინოში ქუთაისის „ტორპედო“ თამაშობდა კუიბიშევში „კრილია სოვეტოვთან“ და დაამარცხა ანგარიშით 1:2.

შეხვედრების ასოციაციების ევროპულმა კავშირმა განსაზღვრა მონაწილე ქვეყნების რაოდენობა ეფფა-ს თასის 1974-1975 წლების გათამაშებაში. შეჯიბრებაში კვლავ გამოვა 64 კლუბი. საბჭოთა კავშირიდან ტურნირში, ისე როგორც ახლა, იასპარეზებს ორი გუნდი.

ცნობილია, რომ სსრ კავშირისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების მომავალი ამხანაგური შეხვედრა გაიმართება 1974 წლის 14 აპრილს რიო-დე-ჟანეიროში, სახელგანთქმულ „მარაკანას“ სტადიონზე.

ეკრანიზაციის უბრალოებანი

ბიბლიოთეკა

პირველი პროგრამით

15 ოქტომბერი

17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.35 — განცხადებები, 18.45 — „შეჯიბრებაში დაწინაურებულნი“, 19.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.40 — „სამშობლოს უპატრაკებს კრასნოდარის მხარე“ — (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „სახელოვნი მედართმთავარი“ — კ. ლესელიძე, 20.50 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ინჟინერ გარინის კრახი“ — I სერია (პრემიერა), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30— სიმფონიური მუსიკის კონცერტი,

16 ოქტომბერი

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინონარკვევი, 11.00 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (VIII კლასელთათვის ენერგიის გარდაქმნის და შენახვის კანონი), 11.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ძმები კარამაზოვები“ — I სერია, 12.45 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 16.30—ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად: ქართულ ენაში, 17.15 —ბიოლოგიაში, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — განცხადებები, 18.10 — „ვინ უკეთ, ვინ სწრაფად“, 18.45 — „ადამიანი — ბუნების მეგობარი“, 19.10 — „ეკრავს ლიანა ისაკაძე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“, 19.55 — კინონარკვევი, 20.05 — საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების III კონფერენციის წინ, 20.20 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ინჟინერ გარინის კრახი“ — II სერია (პრემიერა), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ეროტის საიუბილეოდ“ — გალაკტიონის სახლმუზეუმში, 22.50 — კონცერტი.

17 ოქტომბერი

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — მოსწავლეთათვის — „გაფრინდი, ჩვენო სიმღერავ“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — კინოპროგრამა, 12.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ძმები კარამაზოვები“ II სერია, 17.05 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა, 17.35— კინონარკვევი, 17.45 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 18.15 — ახალი ამბები, 18.20 — განცხადებები, 18.30 — მოსწავლეთათვის: „წიგნების სამყაროში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00— საქართველოს ფერადი ტელევიზია „ბუნების კარი“, 19.50 — აქსიელთა გამოცდილება — რესპუბლიკის საწარმოებს, 20.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — პროფკავშირების მსოფლიო ფედერაციის მერვე კონგრესზე (გადმოცემა ვარნიდან), 20.50 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ინჟინერ გარინის კრახი“ III სერია (პრემიერა), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „კინონიერების სადარაჯოზე“, 22.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მუსიკალური პროგრამა.

20 ოქტომბერი

10.05 — ფერადი ტელევიზია. ტანვარჯიში ყველასათვის. (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია ბავშვებისათვის — თეატრი „კოლოკოლჩიკი“ იწვევს მეგობრებს; 11.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ჩარდაშის დედოფალი“; 12.45 — ინტერვიზია. „ეკრანი იკრებს მეგობრებს“ —საბჭოთა კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, 13.30 — „მეცნიერებისა და კულტურის აქტუალური პრობლემები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 14.30 — დოკუმენტური ფილმი „ხუთწლედის გზაჯვარედინებზე“ — (ქართულ ენაზე), 15.00 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — ა. შენგელაია, 15.30 — კინონარკვევი, 15.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.30 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 —შუხბერიანი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), — II ტაიმი. (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45— „პოლიტიკური ენციკლოპედია“, 18.00 — შუხბერიანი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი), შესვენების დროს — რადიოს და ტელევიზიის პროგრამა. 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „კინოკომედია — „მეკარე“.

19 ოქტომბერი

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინოპროგრამა, 11.45 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მშობლიური სასლი“, 15.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 16.55 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთა დასახმარებლად ლექცია ფიზიკაში, 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — ფერადი ტელევიზია ბავშვებისათვის „ხალიარული ფანქარი და მისი მეგობრები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — მოსწავლეთათვის — „მოდით, ვისაუბოთ“, 18.50 — „ჩვენი კომენტარები“, 19.10 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები“, 19.40 — საერთაშორისო მიმოხილვა, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ლიტერატურული გადაცემა „ჩვენი სტუმრები“, 20.50 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ინჟინერ გარინის კრახი“ — IV სერია (პრემიერა), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ეროტიკა“ (ბულგარეთი), 23.00 — „ბალეტი ნაბიჯ-ნაბიჯ“ (ინგლისი).

ტელევიზია

13 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. ტანვარჯიში ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია ბავშვებისათვის. „ბურთი“ (ბულგარეთი), 11.00 — „ბავშვებისათვის“ — „ეროვნული ენა“, 11.45 — კინონარკვევი, 12.00 — ბავშვებისათვის — „იხვის ჭუკი“ — თოჯინების თეატრის სპექტაკლი, 12.40 — კინონარკვევი, 12.50 — კინოაფიშა, 13.20 — ფერადი ტელევიზია — „მუსიკალური კოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 14.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „მულტეკრანი“, 15.20 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 16.20 — კინოხარკვევი, 16.45 — „კომპოზიტორები ბავშვებს“, 17.15 — ფერადი ტელევიზია. „დღეს კვირის მრეწველობის მუშაკთა დღეა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — ფერადი ტელევიზია — „კინომოგზაურობის კლუბი“, 18.50— კვირის მრეწველობის მუშაკთა დღესადმი მიძღვნილი კონცერტი, 19.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბერი, ლეკსი, სიმღერა“, 20.10 — „მოამბე“, საინფორმაციო პროგრამა, 20.20 — მღერის თელავის ვოკალური ანსამბლი „ჩაკრულო“, 20.55 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ოქროდი“ (პრემიერა), 22.00 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 ფერადი ტელევიზია. მინიატურების სატელევიზიო თეატრი „13 სკამი“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — კინოპროგრამა, 19.05 — კონცერტი, 19.50 — კინონარკვევი, 20.10 — სატელევიზიო დადგმა „ირკუტსკის ისტორია“ (მეორე ნაწილი).



რადიო

14 ოქტომბერი

პირველი პროგრამა

09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „უკანასკნელი“ ცნობები, 11.45 — „მუსიკალური რადიოაფიშა“, 12.15 — მოსწავლეთათვის, რადიოდადგმა „ორი ობოლი“, 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის, კონცერტი-საუბარი დ. თორაძის სიმფონია „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“, 14.00 — რადიოურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“. 14.30 — პოპულარული ქართული სიმღერები და რომანსები, 14.40—შ. რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“ (თავები პოემიდან), 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“, ტრანსლაცია ერევნიდან, 16.15 — რადიოფურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — განცხადებები, 17.10 — კონცერტი სოფლის მეურნეობის მუშაკთა თხოვნით, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — „მომძე საბჭოთა რესპუბლიკებში“, 18.25 — ფრანგული სიმღერები, 19.30 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 20.20 — „ხუთწლედის მოწინავენი“, 20.35 — „ჟ. ლორთქიფანიძე, „ნატვრის თვალი“, რადიოდადგმა, 21.30 — გამოჩენილ მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტი, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — რ. ლაღიძე, მუსიკა კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.



თეატრები

13 ოქტომბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შოთა აცაცი; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ტალანტები და თაყვანისმცემლები;** ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **შაინთან ხიხო.**

ეს ვნახოთ, ეს ჟოვისჭიროთ



ჩვენი მისამართი და ტელეფონები



კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივ ნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93. მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-15-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60402 ფგ 08532 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.